ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქალაქი ფოთი 15 აგვისტო 2024 წელი

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახოციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 თებერვლის №42.42240599 ბრძანების საფუძველზე.

სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებელის 12.

სხდომას ესწრებოდნენ: მერი ბექა ვაჭარაძე, მერის პირველი მოადგილე დავით კვიციანი, მერის მოადგილეები მამუკა პაპასკირი და ლექსო თოდუა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

2. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით, საბიუჯეტო ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების განსაზღვრა.

მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. მან სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის წინასწარი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე) და 15

ივლისისთვის ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით.

2025-2028 წლების დასაფინანსებელ **ძირითად პრიორიტეტებზე** რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 9 457,5 ათასი ლარი.
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 10 166,6 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 3 828,7 ათასი ლარი;
- განათლება - 5 220,0 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 8 033,4 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 6 527,3 ათასი ლარი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა 2025-2028 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	რიცხოვნება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	152	9 457,5	9 303,7	9 402,6	9 547,1
ინფრასტრუქტურის განვითარება	254	10 166,6	12 031,9	14 589,6	15 022,4
დასუფთავება და გარემოს დაცვა	222	3 828,7	4 524,7	4 977,0	5 474,5
განათლება	382	5 220,0	5 620,0	6 060,0	6 530,0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	517	8 033,4	8 344,2	8 759,8	8 866,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	226	6 527,3	6 766,8	6 866,8	6 966,8
სულ ჯამი	1753	43 233,5	46 591,3	50 655,8	52 407,5

მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის, არაუგვიანეს 5 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2025 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება პრიორიტეტების მოცულობა.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფს გააცნო საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაცია, ბრძანების მე-3, მე-4 და მე-6 დანართების შაბლონის შესაბამისად. მომავალ წლებში, პრიორიტეტული სფერო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. ასევე, პრიორიტეტს სოციალური სფერო წარმოადგენს. მიზანშეწონილად თვლიან ახალი გამწვანების ზონების შექმნას, ეზოების კეთილმოწყობას, ტურიზმის განვითარებას, წყალგადამქაჩი სატუმბოების გამართულ ფუნქციონირებას.

აზრი გამოთქვეს: ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით კვიციანმა, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა, ლექსო თოდუამ და ჯგუფის წევრებმა ქალაქში განსახორციელებულ პროგრამებთან დაკავშირებით. გამოიკვეთა, ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ მომავალში უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება.

სხდომა შეაჯამა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ბექა ვაჭარაძემ, რომელმაც კონკრეტული მოსაზრება გააცნო სამუშაო ჯგუფს მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის კუთხით განსახორციელებელი სამუშაოების, ჩასატარებელი ახალგაზრდულ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებების და განსახორციელებელი სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების, მოსაზრებების გათვალისწინებით

დაადგინეს:

მოწონებულ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების პირველადი დოკუმენტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის შენიშვნებისა და შეფასების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წევრებზე გაიცა შემდეგი დავალებები:

1. 2024 წლის 1 სექტემბრამდე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, წარმოადგინოს მერის ბრძანების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

2. 2024 წლის 1 ნოემბრამდე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, წარმოადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2024 წლის 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

3. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი საბიუჯეტო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვადების დაცვა.

4. სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეკრება დაიგეგმოს 2024 წლის 1 ნოემბერს.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ბექა ვაჭარაძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: